

**THE ROAD FROM PATRIARCHAL CAPTIVITY TO FREEDOM
(THE JOURNEY OF MONIRO RAVANIPOUR'S FEMALE CHARACTER)**

**გზა პატრიარქატის მძევლობიდან - თავისუფლებისკენ
(მონირო რავანიპურის ქალი პერსონაჟის გზა)**

Mzia Burjanadze

Doctor of Philology; Associate Professor of
Ivane Javakhishvili Tbilisi State University;
Tbilisi, 1 Ilia Chavchavadze Avenue, 0179, Georgia
+995593464565 mzia.burjanadze@tsu.ge
<https://orcid.org/0009-0001-1305-8653>

Abstract. Moniro Ravanipour is an Iranian emigrant writer and significant figure in women's literature. Since 2007, she has lived in the United States. She emigrated because she deeply believed that human beings are born for freedom, but the Islamic Revolution completely clipped the wings of that aspiration.

Moniro Ravanipour's entire work and personal life – both in Iran and abroad – is an example of the breaking of patriarchal traditions. Her covert and explicit struggles are directed toward justice and the defense of human rights.

Today, in the West, where Ravanipour lives and continues her literary activities, she is primarily perceived as a feminist writer.

In the modern world, the way society (and women themselves) approach female identity is considered one of the key issues in literature.

As a writer who supports the breaking of all clichés and taboos and opposes frameworks that limit individual human identity, she devotes significant attention to the search for and establishment of female identity.

The aim of the paper is to explore the journey of an Iranian woman in her search for identity and self-discovery. The paper analyzes how this process is portrayed by Ravanipour – as a native Iranian author and an emigrant artist.

Analysis of the writer's feminist-spirited works reveals that feminist discourse in Ravanipour's works forms a distinct concept, allowing the reader to trace its evolution.

The search for female identity in Ravanipour's early works begins with a character that expresses the author's personal credo – little Maryam. This character, who questions the justice of the small yet familiar mythopoetic world of the Persian Gulf, gradually transforms into a woman who rebels against patriarchal oppression and seeks her rights and individual identity. Ultimately, in the collection "A Woman at Frankfurt Airport", she emerges as a liberated character, an educated, self-confident and independent woman protesting against the patriarchal reality and Islamic laws.

The research has proved that this collection, which expresses an open protest against the regime of the Islamic Republic, can be considered a kind of final touch in the development of the feminist line in the author's work.

Key words: women's literature in Iran, Iranian emigrant writer, Moniro Ravanipour, Islamic Republic, feminist discourse.

მზია ბურჯანაძე

ფილოლოგიის დოქტორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179, საქართველო,
+99593464565 mzia.burjanadze@tsu.ge
<https://orcid.org/0009-0001-1305-8653>

აბსტრაქტი. მონირო რავანიფური ირანელი ემიგრანტი მწერალი და ქალთა ლიტერატურის მნიშვნელოვანი წარმომადგენელია. 2007 წლიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობს. ემიგრაციაში წავიდა, რადგან ღრმად სწამდა, რომ ადამიანი თავისუფლებისთვისაა გაჩენილი, ისლამურმა რევოლუციამ კი სრულად შეაკვეცა ამ სწრაფვას ფრთები.

მონირო რავანიფურის მთელი შემოქმედება და პირადი ცხოვრება ირანშიც და მის ფარგლებს გარეთაც პატრიარქალური ადათ-წესების მსხვრევის მაგალითია. მისი ფარული თუ ღია ბრძოლა სამართლიანობისთვის ადამიანის უფლებების დაცვისკენაა მიმართული.

დღესდღეობით მონირო რავანიფური დასავლეთში, სადაც ის ცხოვრობს და ლიტერატურულ საქმიანობას ეწევა, პირველ რიგში, ფემინისტ მწერლად აღიქმება. თანამედროვე მსოფლიოში ქალის იდენტობისადმი საზოგადოებისა და თავად ქალის დამოკიდებულების ასახვა ლიტერატურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად მიიჩნევა.

ნებისმიერი კლიშესა და ტაბუს მსხვრევის მომხრე, ადამიანის ინდივიდუალობის შემზღუდავი ჩარჩოს მოწინააღმდეგე მწერალი ქალის იდენტობის ძიებისა და თვითდამკვიდრების საკითხს შემოქმედებაში დიდ ადგილს უთმობს.

სტატიის მიზანია, გაარკვიოს, რა გზას გადის ირანელი ქალი ამ ძიებებისა და საკუთარი თავის აღმოჩენის პროცესში და როგორ აღწერს ამ პროცესს რავანიფური - ირანის მკვიდრი ავტორი და რავანიფური - ემიგრაციაში მოღვაწე ხელოვანი.

მწერლის ფემინისტური სულისკვეთების ნაწარმოებებზე დაკვირვებამ ცხადი გახადა, რომ რავანიფურის შემოქმედებაში ფემინისტური დისკურსი გარკვეულ კონცეფციას ქმნის და მკითხველი მის ევოლუციას ადევნებს თვალს. ქალის იდენტობის ძიება რავანიფურის ადრეულ ნაწარმოებებში მწერლისეული კრედოს გამომხატველი გმირით - პატარა მარიამით - იწყება. სპარსეთის ყურის მითოპოეტური სამყაროს პატარა, თუმცა უკვე მშობლიური გარემოს სამართლიანობაში დაექვედებული პერსონაჟი თანდათან პატრიარქალური წნეხის წინაშე ამბოხებულ, საკუთარი უფლებებისა და პიროვნული იდენტობის მაძიებელ ქალად იქცევა, საბოლოოდ კი კრებულში „ქალი ფრანკფურტის აეროპორტში“ პატრიარქალურ სინამდვილესა და ისლამურ კანონებს თავდახსნილ პერსონაჟად - განათლებულ, თავდაჯერებულ და თვითკმარ ქალად - მოგვევლინება.

კვლევამ აჩვენა, რომ ეს კრებული, რომელიც ღია პროტესტს გამოხატავს ისლამური რესპუბლიკის რეჟიმის მიმართ, მწერლის შემოქმედებაში ფემინისტური ხაზის განვითარების ერთგვარ ფინალურ შტრიხად შეიძლება მივიჩნიოთ.

საკვანძო სიტყვები: ქალთა ლიტერატურა ირანში, ირანელი ემიგრანტი მწერალი, მონირო რავანიფური, ისლამური რესპუბლიკა, ფემინისტური დისკურსი.

შესავალი. მონირო რავანიფური ირანელი ემიგრანტი მწერალია. ღრმად სწამდა, რომ ადამიანი თავისუფლებისთვისაა გაჩენილი, ისლამურმა რევოლუციამ კი სრულად შეაკვეცა ამ სწრაფვას ფრთები. მისი ოჯახის ბედი გასაოცრად ჰგავდა იმ მრავალი ირანული ოჯახის ბედს, რომელთაც ახლობლები დაუპატიმრეს, უწამეს ან მოუკლეს.

1983 წელს თავად მწერალიც დაპატიმრებული იყო, როგორც პოლიტიკური აქტივისტი.

როდესაც 2007 წელს მიწვევა მიიღო ამერიკის შეერთებული შტატებიდან ბრაუნის უნივერსიტეტში სამუშაოდ, ქმარ-შვილით ამერიკაში გაემგზავრა და საცხოვრებლად იქ დარჩა, რადგან ირანში ცხოვრების გაგრძელება შემოქმედებაზე, სამწერლო წინსვლასა და პირად მოქალაქეობრივ პოზიციაზე უარის თქმას ნიშნავდა.

იგი ჯერ ფარულად და მალვით, მერე კი უკვე გახსნილად და შეუფარავად - ირანსა თუ აშშ-ში - ადამიანის, განსაკუთრებით კი, ქალის უფლებების დასაცავად იბრძოდა და იბრძვის.

მონირო რავანიფურს, როგორც მოქალაქეს და მწერალს, თავის ამოცანად ზოგადად ადამიანის უფლებების დაცვა მიაჩნია. მაგრამ ქალის საკითხს განსაკუთრებით ღრმა პრობლემად აღიქვამს არა მხოლოდ აღმოსავლეთის ქვეყნებისთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის. მისი მთელი შემოქმედება, საზოგადოებრივი აქტიურობა და პირადი ცხოვრება პატრიარქალური რეჟიმისა და ყავლგასული ადათ-წესების წინააღმდეგ სვლის მაგალითია.

დღესდღეობით მონირო რავანიფური აშშ-ში, სადაც ის ცხოვრობს და ლიტერატურულ საქმიანობას ეწევა, პირველ რიგში, ფემინისტ მწერლად აღიქმება. ამ თვალსაზრისით, მისი შემოქმედების კვლევა აქტუალური და მნიშვნელოვანია. ნებისმიერი კლიშესა და ტაბუს მსხვერვის მომხრე, ადამიანის ინდივიდუალობისა და სულიერი სწრაფვის შემზღუდავი ნებისა და ჩარჩოს მოწინააღმდეგე მწერალი თავის შემოქმედებაში ქალის იდენტობის ძიებისა და დამკვიდრების საკითხს დიდ ადგილს უთმობს.

სტატიის მიზანია, თვალი მიადევნოს მწერლის შემოქმედებაში ფემინისტური ხაზის განვითარებას ირანს შიგნით და მის გარეთ - ემიგრაციაში ცხოვრების პერიოდში. ასევე, გამოკვეთოს ამ მიმართულების ნაწარმოებების კონკრეტული მახასიათებლები სხვადასხვა ეტაპზე. ამგვარი მიდგომა მწერლის შემოქმედებისადმი გარკვეული სიახლის შემცველია.

საინტერესოა დაკვირვება, რა გზას გადის ირანელი ქალი ამ ძიებებისა და საკუთარი თავის აღმოჩენის პროცესში პატრიარქალურ რეალობასა და პოსტ-ისლამური რევოლუციის ეპოქაში და როგორ აღწერს ამ პროცესს რავანიფური - ირანის მკვიდრი ავტორი და რავანიფური - ემიგრაციაში მოღვაწე ხელოვანი?!

სტატიის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, გავეცანით მწერლის რომანებსა და ნოველების კრებულებს (გამოცემულს შემოქმედების ირანულ და ემიგრანტულ პერიოდებში), ასევე, მისსავე მხატვრულ-დოკუმენტურ წიგნს „კიევში რომ ჩავალ, დაგირეკავ“, არაერთ ინტერვიუს ავტორთან, გამოკვლევებს და ინტერნეტრესურსებს რავანიფურის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. აღსანიშნავია, რომ მონირო რავანიფური აქტიური ინტერნეტმომხმარებელია, მას აქვს საკუთარი ვებლოგი და ინტერნეტით უძღვება სხვადასხვა პედაგოგიურ-საგანმანათლებლო კურსს. ამდენად, მისი შემოქმედებისა და ცხოვრების გაცნობა ინტერნეტრესურსების საშუალებით ძალიან აქტუალური და შედეგიანია.

მეთოდები. კვლევის მიზნებიდან და მიმართულებიდან გამომდინარე, სტატიაზე მუშაობისას გამოვიყენეთ კვლევის კომპლექსური მეთოდი, რომლის ფარგლებში ვიხელმძღვანელოთ შემდეგი მეთოდებით:

ანალიზური მეთოდი უმნიშვნელოვანესი ეტაპი იყო ავტორის მხატვრული თუ მხატვრულ-დოკუმენტური თხზულებების შესასწავლად. ამ მეთოდის საშუალებით გამოვლინდა თითოეული ნაწარმოების სულისკვეთება და მწერლისეული ჩანაფიქრი და მიზანი.

კომპარატივისტიულმა მეთოდმა შესაძლებელი გახადა სხვადასხვა კრებულითა თუ რომანის ერთმანეთთან შედარება. განსაკუთრებით საინტერესო და, სტატიის მიზნებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი იყო მწერლის შემოქმედების ირანულ და ემიგრანტულ პერიოდებში გამოცემული ნაწარმოებების შედარება და მათ შორის არსებული მსგავსება-განსხვავებების გაანალიზება საზოგადოებრივი მოწყობისა და მენტალობის სხვადასხვაობის ფონზე.

მნიშვნელოვანი იყო, ასევე, **ჰერმენევტიკული** მეთოდის გამოყენება, რომლის მეშვეობით შესაძლებელია უკვე მრავალგზის შესწავლილი ნაწარმოებების ახლებური ინტერპრეტირება, რაც კვლევის პროცესს განსაკუთრებულ ხიბლსა და ღირებულებას ანიჭებს.

მსჯელობა და შედეგები. როდესაც რავანიფური საუბრობს, თუ რა მისცა ემიგრაციამ, როგორ განვითარდა მისი ცხოვრება, რა გავლენა იქონია დასავლურ სამყაროში, კერძოდ კი, აშშ-ში ყოფნამ მის სამწერლო გზაზე, პირველ რიგში, ატმოსფეროს გავლენას აღნიშნავს: „ჩემი ცხოვრება მხოლოდ მე მეკუთვნის. არავინ მაწუხებს, არავის ნებართვას არ ვთხოვ. არავინ კითხულობს, ძველ თაობას მივეკუთვნები თუ ახალს; ქალი ხომ არ ვარ; ყველაფერზე ხელი მიმიწვდება და ეს შესანიშნავია, რადგან ესაა თავისუფლება. თავისუფლება თავისუფლად სუნთქვას ნიშნავს, ეს კი ვის არ სურს?!“ (Ravanipour, 2019).

მაგრამ უცხოეთში გადასახლება და ემიგრაცია მისთვის ნებაყოფლობითი არჩევანი და იოლი გადაწყვეტილება არ ყოფილა. მწერლის საუკეთესო ნაწარმოებები ირანის კულტურას და სულიერებას უკავშირდება, მისით საზრდოობს და სპარსეთის ყურის რეგიონის ფოლკლორითა და მითებითაა შთაგონებული. ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობს: „ჩვენ გვწამდა, რომ არსებობს ღმერთი, რომელიც მეზადურებს იცავს, სწორედ ისე, როგორც ბერძნების პოსეიდონი; გვწამდა ქალთევზების არსებობის... ეს განსაკუთრებული ადგილი იყო“ (Laqaii, 2022).

მაგრამ, როდესაც ისლამური რესპუბლიკის ჯარისკაცები მათ სახლში შეიჭრნენ და ცხრამეტი წლის ძმა მოუკლეს, რავანიფურის სიყმაწვილის მაგია სამუდამოდ გაქრა. „რატომ მოკლეს? არაფრის გამო... შეიძლება, წითელი ფეხსაცმელი ან შავი პერანგი ეცვა. იმ დროს ადამიანებს უსისტემოდ იჭერდნენ. ეს პოლიტიკური დაჯგუფებების დემორალიზაციის ერთი გზა იყო“ (Laqaii, 2022).

ამის შემდეგ საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ასე ცხოვრება არ შეიძლება და კიდევ უფრო ღიად და შეუპოვრად ჩაება სამართლიანობისთვის ბრძოლაში. იბრძოდა ფარულად და ღიად. იბრძოდა ადამიანის უფლებებისთვის, განსაკუთრებით, ქალის უფლებების დასაცავად. 2005 წელს მის ისედაც შერყეულ რეპუტაციას სამშობლოში კიდევ ერთი მიმღე დაღი დაემატა, როცა ჩაება კამპანიაში „მილიონი ხელმოწერა ირანში ქალთა მიმართ დისკრიმინაციული კანონის შესაცვლელად“.

რეფორმატორი პრეზიდენტის, მოჰამად ჰათამის, მმართველობის წლებში მონაწილეობა მიიღო ბერლინის კონფერენციაში, როგორც ირანის წარმომადგენელმა და ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შემფასებელმა. დაბრუნების შემდეგ, ანტიისლამურ პროპაგანდაში ბრალდებით, ყველა მონაწილე დააკავეს და დაკითხეს. ამ მოგზაურობის შედეგად დაიწერა ნოველების კრებული „ქალი ფრანკფურტის აეროპორტში“.

მონირო რავანიფურის მთელი შემოქმედება, საზოგადოებრივი აქტიურობა და პირადი ცხოვრება პატრიარქალური რეჟიმისა და ადათ-წესების მსხვერვის მაგალითია. „ჩემი ქორწინებაც კი, ქორწინება მსოფლიოში ცნობილი მოჭიდავის, თახთის ვაჟიშვილთან,

რომელიც ჩემზე თოთხმეტი წლით უმცროსია, იმ კულტურისთვის, რომელშიც პატარძალს ქორწინების ღამეს ქალწულობას უმოწმებენ, ტრადიციის დარღვევა და ამ უაზრო და ყავლგასული ადათების დაცინვა იყო. შოკი, რომელიც პატრიარქალურ საზოგადოებაში ამ ფაქტმა გამოიწვია, დღემდე დიდი ტკივილისა და განცდების საფუძვლად რჩება“ (Zanan-e tasirgozar-e Irani, 2024).

მონირო რავანიფური 1952 წლის 24 ივლისს ბუმეჰრში, სპარსეთის ყურის სანაპიროზე, ზღვისპირა სოფელ ჯოფრეში დაიბადა და გაიზარდა. შირაზის უნივერსიტეტში ფსიქოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა. შემდეგ ამერიკაში გაემგზავრა და ინდიანის უნივერსიტეტში პედაგოგიური მეცნიერებების დარგში მაგისტრის დიპლომი მიიღო. წერა რევოლუციის მერე დაიწყო. მისი მოთხრობების პირველი კრებული იყო „ქანიზო“, რომლის წიგნად გამოცემა მხოლოდ რვა წლის დაგვიანებით, ირან-ერაყის ომის დამთავრების შემდგომ მოახერხა.

1995 წელს ჩამოაყალიბა სამწერლო ხელოვნების შემსწავლელთა ჯგუფები, რომელსაც „ბოშები“ დაარქვა. სახელწოდება ამ ჯგუფების მუშაობის სპეციფიკამ განაპირობა: რავანიფურის სასწავლო კლასებს, როგორც ბოშებს, მკვიდრი ადგილი არ გააჩნდათ. ისინი კაფეებში, სახლებში ან რესტორნებში იკრიბებოდნენ და იქ კითხულობდნენ თავიანთ ნაწერებს. რავანიფურის ლიტერატურული სახელოსნო იყო პირველი ჯგუფი ირანში, რომელიც პროფესიონალი მწერლისა და პედაგოგის ხელმძღვანელობით სწავლობდა ლიტერატურას და სამწერლო ხელოვნებას. მას ასევე დაერქვა - ჯგუფი 1.

ამერიკაში გამგზავრების შემდეგ, 2007 წელს, ამუშავდა ჯგუფი 2. ბუნებრივია, ეს ჯგუფი უკვე ინტერნეტის საშუალებით მართავდა შეხვედრებს, რადგან მისი მონაწილეები - სპარსულენოვანი ადამიანები - მსოფლიოში იყვნენ მიმოფანტულნი.

ამ ჯგუფებში კითხულობდნენ და განიხილავდნენ მსოფლიო მწერლობისა და კინემატოგრაფიის ცნობილ ნაწარმოებებს, წერდნენ მოთხრობებს. თავად ხელმძღვანელ-ქოუჩის, რავანიფურის, მიერ გადარჩეული საუკეთესო ნაწერები ერთიანდებოდა კრებულებში, რომლებიც ფეისბუქგვერდზე ქვეყნდებოდა. ჯგუფის საქმიანობის სფერო ფართოვდებოდა და ლიტერატურული მოღვაწეობის სხვადასხვა შტოს მოიცავდა:

ჩამოაყალიბდა ე.წ. რომანისა და ნოველის დაჯგუფება. ეს იყო მკითხველთა გაერთიანება, რომელთაც მწერლობის ნიმუშების პროფესიონალურად წაკითხვისა და გაგების სწავლა სურდათ. ამ ჯგუფებში ნაწარმოებებს ფსიქოლოგიური კუთხით განიხილავდნენ.

„ბოშათა სამკითხველო“, რომელიც ფეისბუქგვერდს წარმოადგენდა, რომელზეც ირანში გამომავალი მწერლობის ნიმუშები იყრიდა თავს; იწერებოდა კრიტიკული წერილები;

„ათას ერთი ღამის“ ზღაპრებთან დაკავშირებული „ბოშათა კაფე“ ამ უკვდავი კრებულის თანამედროვე ხედვას, ე.წ. „ბაზხანის“ (بازخانی) - ახლებურ ინტერპრეტაციას - გულისხმობდა.

თავის აქტიურობაზე ინტერნეტსივრცეში მწერალი ასე წერს: „ვებლოგი ბეჭდვით სიტყვაზე ნაკლები ნუ გეგონებათ. იმ ვითარებაში, რომელშიც მოგვამწყვდიეს, კაცობრიობის ეს გონივრული და უნარიანი გამოგონება - ინტერნეტი - ჩვენი საყრდენია. სხვა გზა არ დაგვიტოვებს. ზეცის კარინჟე ცხვირწინ დაგვიხმეს და შუამავლებად ჩადგნენ ღმერთსა და ჩვენ შორის. არ მინდა, რომ მკითხველსაც დამაშორონ. ბევრი რამ დაწერე - რომანი თუ მოთხრობა, რომელთა დაბეჭდვაზე ქვეყნის გარეთ უნდა ვიზრუნო“ (Nevisande doruq-e..., 2008).

მწერალი ირანის პოსტრევოლუციურ ლიტერატურულ სივრცეში ქალი მწერლების მოზღვავენას და აქტიურობასაც რევოლუციური სიტუაციით, საყოველთაო წნეხის რეჟიმითა და მკაცრი ცენზურით ხსნის: „(ქალი მწერლების მომრავლების) მიზეზი წნეხია -

აშკარა და მალული წნეხი. ყველა კარის ჩარაზვა. ქალების უმრავლესობა აიძულეს, წერა დაეწყო... დატყვევებამ აიძულა. ყოფნის სურვილმა. უნდათ, ამ ვითარების წინააღმდეგ წერონ..." (Nevisande doruq-e..., 2008).

მისი სამწერლო და პედაგოგიური შესაძლებლობები ამ ბოლო რამდენიმე წელიწადში ინტერნეტსივრცით სარგებლობის კიდევ ერთ დიდ საქმეში გამოჩნდა, რომელშიც მონირო რავანიფურის მოქალაქეობრივი პოზიცია და პასუხისმგებლობის უმაღლესი გრძნობა მთელი სისავსით გამოვლინდა.

2020 წლის 8 იანვარს თეირანის თავზე აფეთქდა უკრაინის ავიახაზების კუთვნილი თვითმფრინავი, რომელსაც ისლამური „რევოლუციის გუშაგებმა“ ყუმბარმტყორცნი დაუმიზნეს. დაიღუპა უკრაინული ეკიპაჟი და ყველა მგზავრი, რომელთა უმრავლესობა ირანელი ემიგრანტი იყო.

ამ ტრაგედიის შემდეგ „ბოშების“ ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად ტრაგედიის მსხვერპლთა „ხსოვნის წიგნის“ შედგენა იქცა. რავანიფური მრავალი თვის განმავლობაში მუშაობდა ამ უნუგემო ადამიანებთან თავის „ხსოვნის სახელოსნოში“. ასწავლიდა წერას, მაგრამ უფრო მეტად ფსიქოთერაპიის კურსს უტარებდა, რათა სიცოცხლისკენ მოებრუნებინა და მათ მკვდარ და გახევებულ გულებში ხელახლა ჩაენერგა ადამიანის რწმენა. გარკვეული ხნის შემდეგ მოგონებების კრებული, სათაურით „კიევში რომ ჩავალ, დაგირეკავ“ ჯერ ინტერნეტ სივრცეში, გუგლის ბაზაზე, გამოჩნდა, მოგვიანებით კი წიგნადც დაიბეჭდა.

რავანიფური ირანულ კულტურას თმენისა თუ მოლოდინის კულტურას უწოდებს. „ირანულ კულტურაში არის რაღაც, რასაც ირანელი ღირსებად აღიქვამს და რომელიც გვაიძულებს, გავჩუმდეთ... არ ვთქვათ, არ ვილაპარაკოთ... ამ ღირსების წინაშე შიში ცხოვრების შესაძლებლობას გვართმევს“ (Ravanipour, 2021).

ამ წიგნით რავანიფური ცდილობს, ხმა ამოიღოს, არ გაჩუმდეს და არ შეუნახოს „ნამუსი“ სამშობლოს, რათა მომავალ თაობასაც თმენისა და მოლოდინის ესტაფეტა არ გადააბაროს.

მომავალ თაობებს უნდა ვუთხრა, რა ხდებოდა ჩემს ქვეყანაში - ამბობს მწერალი და ამას აკეთებს პირადი ცხოვრებით, საზოგადოებრივი მოღვაწეობითა და სამწერლო საქმიანობით.

დღესდღეობით მონირო რავანიფური დასავლეთში, სადაც ის ცხოვრობს და ლიტერატურულ საქმიანობას ეწევა, პირველ რიგში, ფემინისტ მწერლად აღიქმება. თანამედროვე მსოფლიოში მწერლობის ეს მხარე, ანუ ქალის იდენტობისადმი საზოგადოებისა და თავად ქალის დამოკიდებულების ასახვა ლიტერატურაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან შტრიხად მიიჩნევა. განსაკუთრებით ეს აღმოსავლეთის ქვეყნებიდან ემიგრირებული მწერლებისადმი დასავლელი გამომცემლისა და მკითხველის მიმართებაზე ითქმის. მათი დამოკიდებულება საკითხისადმი ერთგვარ კლიშედაც კი იქცა. აღმოსავლეთის ქვეყნებიდან ემიგრირებული მწერლისგან თითქმის უპირობოდ მოელიან მისი მშობლიური ქვეყნის ხარვეზების წარმოჩენას. ამ ხარვეზებში კი, პოლიტიკური სიტუაციის განხილვის გარდა, ქალისადმი ძალადობრივი დამოკიდებულება, მისი უფლებების შელახვა თუ იგნორირება, თავად ქალის მხრიდან საკუთარი ადგილისა და როლის არცთუ ჯანსაღი და პროგრესული შეფასება მოიაზრება. ამდენად, გასაოცარი არ უნდა იყოს, რომ ინტერვიუერები, როგორც წესი, არ სჯერდებიან ნაწარმოებების გაცნობას თუ ანალიზს და ამ საკითხის გარკვევას თავად მწერლებთანაც ცდილობენ.

რავანიფური შეკითხვაზე, ხართ თუ არა ფემინისტიო, ასეთ პასუხს იძლევა: „ფემინიზმი ქალთა უფლებების დაცვას გულისხმობს. მე ნებისმიერ მოძრაობას ვუჭერ მხარს, რომელიც ჩაგრულთა და დევნილთა უფლებებისთვის იბრძვის, მიუხედავად მათი სქესისა“ (Ravanipour, 2019).

მონირო რავანიფურს, როგორც მოქალაქეს და მწერალს, თავის ამოცანად ზოგადად ადამიანის უფლებების დაცვა მიაჩნია. მაგრამ ქალის საკითხს განსაკუთრებით ღრმა პრობლემად აღიქვამს არა მხოლოდ აღმოსავლეთის ქვეყნებში, არამედ მთელ მსოფლიოში. „ქალს მსოფლიო კიდეც დიდხანს არ აღიარებს პიროვნებად, რომელსაც შეუძლია განკარგოს არა მხოლოდ საკუთარი სხეული, არამედ - გონებაც. ეს პრობლემა ძალიან აქტუალურია ახლო აღმოსავლეთში, მაგრამ, ასევე, ამერიკაშიც. მიზნის მიღწევამდე ჯერ კიდევ გრძელი გზა გვიდევს და, თუ ვინმე ლაპარაკობს კიდეც ქალისა და მამაკაცის თანასწორობაზე, ის ზედმეტად ამარტივებს პრობლემას. ქვეცნობიერში ათასობით წლის განმავლობაში ქალის სხვა ხატი არსებობდა. ჩვენს კულტურაში მწერალი ქალის გამოკვეთილი განსაზღვრება არ არსებობს. ვინ არის ქალი, რომელიც აზროვნებს? ვინ არის ქალი, რომელიც არსებობს? ჩვენ ათასწლოვან ჩარჩოებში ვართ გაჭედვით, ამ ჩარჩოდან რომ გამოვიდეთ, სიმამაცა საჭირო. მაგრამ, თუ დაეხსენი, გაგსრესენ... დაუსრულებლად თავი უნდა დაიცვა. მე ჯერ კიდევ მიწევს თავის დაცვა“ (Ravanipour, 2019).

ამდენად, ბუნებრივი ჩანს, რომ ნებისმიერი კლიშესა და ტაბუს მსხვერვის მომხრე, ადამიანის ინდივიდუალობისა და სულიერი სწრაფვის შემზღუდავი ნებისა და ჩარჩოს მოწინააღმდეგე მწერალი თავის შემოქმედებაში ქალის იდენტობის ძიებისა და დამკვიდრების საკითხს დიდ ადგილს უთმობს. საინტერესოა დაკვირვება, რა გზას გადის ირანელი ქალი ამ ძიებებისა და საკუთარი თავის აღმოჩენის პროცესში და როგორ აღწერს ამ პროცესს რავანიფური - ირანის მკვიდრი ავტორი და რავანიფური - ემიგრაციაში მოღვაწე ხელოვანი.

მოთხრობების პირველივე კრებული „ქანიზო“, რომელიც პოსტრევოლუციურ ირანში დაიწერა, უკვე მკვეთრად გამოხატული ფემინისტური სულისკვეთების გამოვლინება გახლდათ.

ვფიქრობ, შეიძლება იმის თქმაც, რომ ეს კრებული დღემდე, სრულიად სამართლიანად, მწერლის საუკეთესო კრებულად მიიჩნევა. როდესაც საუბრობენ რავანიფურზე, როგორც ბელეტრისტზე, პირველ რიგში, ასახლებენ ამ კრებულს და რომანს „ჩადირულები“.

რავანიფურის შემოქმედება, პირობითად, ორ განშტოებად შეიძლება დაიყოს: მისი ბავშვობისდროინდელი მოგონებების საფუძველზე შექმნილი მითოპოეტური გარემო - მაგიური რეალიზმის ატმოსფეროში განვითარებული მოვლენები, ე.წ. *მარიამის მოთხრობები* და უფრო გვიან დაწერილი ნაწარმოებები, რომლებიც ამ მაგიას სცილდება და რეალისტურ გარემოს ასახავს, თუმცა ხშირად მოდერნისტული მანერით აგრძელებს თხრობას.

აღნიშნულ კრებულსა და რომანში შექმნილი ჯადოსნური ატმოსფერო იმდენად იპყრობს მკითხველის ყურადღებას, რომ მას, შესაძლოა, საზოგადოებრივი პრობლემები მეორეხარისხოვნადაც კი ეჩვენოს. მაგრამ ეს ფაქტორი მხოლოდ და მხოლოდ ავტორის ბელეტრისტულ ოსტატობაზე მეტყველებს. მწერლის მთავარი ამოცანა და მიზანი სწორედ საზოგადოებრივი პრობლემების წმინდაა. მაგიური რეალიზმის სამწერლო სტილი ავტორისთვის პოეტური გზაა, რათა ვუაღირობებოდ შეძლოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოუწყობლობისა და სირთულეების ჩვენება; მეტაფორული სამეტყველო საშუალებაა, რათა თავი დააღწიოს ისლამური რესპუბლიკის ცენზურას და შეძლოს სათქმელის აუდიტორიამდე მიტანა. დაკვირვებულმა მკითხველმა ამ მოხატული ფარდის მიღმა მწერლის მნიშვნელოვანი გზავნილი უნდა იპოვოს: რომ ეს ყოფა ლამაზია ზღაპარში, მაგრამ გაუსაძლისია რეალობაში, სადაც ადამიანი მისი იძულებითი ტყვეა.

როგორც რავანიფურის მთელი შემოქმედება, ასევე, ამ შემოქმედების წამყვანი მოტივი - ფემინისტური დისკურსიც - მარიამის მოთხრობებითა და ამ მოთხრობების უცვლელი პატარა პერსონაჟით იწყება და ავტორის შემდგომი ნარატივიც მისივე ცხოვრების ხაზს მისდევს. მარიამია მწერლისეული კრედოს გამომხატველი გმირი,

რომლის მენტალური და პიროვნული ზრდის პროცესს ადევნებს თვალს მკითხველი - სხვადასხვა თხზულებაში და სხვადასხვა პერსონაჟში გარდასახულს. რავანიფურის შემოქმედების მთავარი სუბიექტი მარიამი - დასაწყისში სპარსეთის ყურის მითოპოეტური სამყაროს პატარა, თუმცა უკვე მშობლიური გარემოს სამართლიანობაში დაექვებული პერსონაჟი - პატრიარქალური წნეხის წინაშე ამბოხებულ, საკუთარი უფლებებისა და პიროვნული იდენტობის მაძიებელ, თეირანში ახალი ცხოვრების საპოვნელად ჩამოსულ ქალად იქცევა (რომანი „ფოლადის გული“)¹, საბოლოოდ კი განათლებულ, დამოუკიდებელ, პატრიარქალურ სინამდვილესა და ისლამურ კანონებს თავდახსნილ ქალად - თავდაჯერებულ და თვითკმარ პერსონაჟად - მოგვევლინება („ქალი ფრანკფურტის აეროპორტში“)².

სპარსეთის ყურის სანაპიროზე, სოფელ ჯოფრეში გაზრდილ მწერალს თავისი ბავშვობის რეალობა მაგიური რეალიზმის ჯადოსნურ სამყაროდ აქვს გარდაქმნილი: სამხრეთ ირანის მწირი ლანდშაფტი და უკიდვანო წყლის სტიქია - ზღვის ქმნილებებითა და მითოლოგიური წარმოდგენებით - ბოროტიცაა და კეთილიც, ალერსიანიცაა და სასტიკიც. ამ სოფლების მკვიდრნი კი - მინდობილნი ამ მკაცრსა და ერთფეროვან გარემოს - ერთდერთ მარჩენალსა და ერთდერთ იმედს, ბრმად მორჩილებენ იმ წარმოდგენებსა და მითებს, რიტუალებსა და ადათებს, უხსოვარი დროიდან რომ მართავდნენ მათი წინაპრების არსებობას. ამ ფეერიული პეიზაჟებითა და ულამაზესი მითებით მოცულ გარემოში იმდენად ორგანულადაა ჩართული ადამიანური უგუნურებითა და პატრიარქალური ადათებით დამძიმებული სინამდვილე, რომ ჭირს გარკვევა, სად დასრულდა ზღაპარი და სად დაიწყო რეალობა.

თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, მარიამის მოთხრობები მხოლოდ მითოპოეტური გარემოსა და წყლის ფერიების გასახსენებლად არ დაწერილა. მწერალი აპროტესტებს იმ რეალობას, რომელშიც უწევთ ცხოვრება მის პერსონაჟებს და ეს პროტესტი ხელისუფლების გულგრილი პოლიტიკის წინააღმდეგაა მიმართულია. რაც არ უნდა ლამაზი, ფეერიული და ჯადოსნური ჩანდეს ზღვისპირა ადამიანების საცხოვრებელი გარემო, ერთი ცხადია: თანამედროვე ტექნიკური ინოვაციების ეპოქაში ყავლგასულ პატრიარქალურ ადათ-წესებში, რიტუალებსა და ხალხურ წარმოდგენებში ჩარჩენილი ადამიანი, მისი სრული უბირობა და დუხჭირი ყოფა ანაქრონიზმად აღიქმება.

ბუნებრივია, ასეთ გარემოსა და რეალობაში საზოგადოების ყველაზე დაჩაგრული წევრი ისევ ქალია - პატრიარქალურ სამყაროში ტრადიციულად მარგინალიზებული არსება.

ამ თვალსაზრისით, საინტერესოა რავანიფურის პირველივე კრებული „ქანიზო“ (1989 წ.), კერძოდ, ამავე სათაურის ნოველა. ესაა ამბავი ე.წ. მეძავი ქალისა, სინამდვილეში კი უბედური ქმნილების, რომელსაც საკუთარი სილამაზე წყევლად ჰქცევია. ეს პრობლემა არც ახალია და არც უცნაური პატრიარქალურ საზოგადოებაში, რომელშიც ქალი გაცვლა-გამოცვლის საგნად - ე.წ. საქონლად აღიქმება.

გაჭირვებაში, ობლობაში გაზრდილი ლამაზი ქანიზო გულუბრყვილოცაა და სრულიად უბიროც. ამდენად, მისი გამოყენება სოფლის კაცებისთვის ძნელი არ ყოფილა. პატრიარქალური ადათები მათ მხარესაა: დამნაშავე მუდამ ქალია, კაცი კი - ვითარების ბატონ-პატრონი. ამ სიმართლეს იცავენ კაცებიც და იცავენ ქალებიც - მათი ცოლები, რომელთაც სძულთ ქანიზო, როგორც ქმრების ავხორცობის საგანი. მისი განსჯისა და დევნის უფლება კი მათთვის დაუწერელ კანონს - ათასწლეულებით გამყარებულ წარმოდგენას მიუნიჭებია. ამ შეუვალი რწმენის მიხედვით, ქანიზო სოფლის ღირსების

¹ რომანი, რომელიც 1991 წელს გამოიცა, ავტორის შემოქმედების ირანულ ხანას მიეკუთვნება.

² ნოველა (და ამავე სახელწოდების კრებული) მწერლის ემიგრაციაში ცხოვრების პერიოდშია დაწერილი და გამოცემული.

შემლაზავი კახპაა, რომელიც უნდა დაისაჯოს. „საზოგადოებამ“ ქანიზო გაალოთა, მათხოვრად აქცია და ციხეში გამოამწყვდია „აღვირახსნილი ცხოვრების გამო“. მაგრამ ქანიზომ სხვა ცხოვრება არ იცის. და არც ის იცის, აღვირახსნილობა რას ნიშნავს. მას ცხოვრების გზა არ აურჩევია. მისთვის ეს არის ლუკმაპურის შოვნის ერთადერთი საშუალება და ცხოვრობს ისე, როგორც მიესაჯა. მეზობლებისგან მოკვეთილი, მარტოდ დარჩენილი, დაცემული და უსასოო, სილამაზეშემოდარცვული, ადრეულად დაბერებული, ყველა შემხვედრს ლუკმაპურს და ჭიქა არაყს ევედრება. ერთ დღეს კი მის ცხედარს წყლის არხში პოულობენ. კაცები არხში ჩამხრჩვალ ქალს ჩადრით მოათრევენ, საერთო ხორხოცში დებენ დროგზე და დასამარხად მიარიხინებენ. ამ ისედაც უმძიმეს სურათს კიდევ მეტად ამძიმებს თემის კანონებზე აღზრდილი ბავშვების რეაქცია, რომლებიც მისდევნენ დროგს და ქანიზოს ცხედარს ქვებს ესვრიან. წინააღმდეგი არავინაა. ეს ამ საზოგადოების წესია: კახპას ასე უნდა მოექცე.

„მეეზოვე დროგს ექაჩებოდა... ხალხი ცხვრის ფარასავით მისდევდა უკან. ქანიზოს ფეხსაცმელი დროგის კედელს ეხეთქებოდა და კაკუნობდა. ბავშვები ქვებს უშენდნენ. შორიდან ზღვის ხმაური და წყლის ფრინველების ყაყანი მოისმოდა. ქუჩის ბოლოდან ქანიზოს ფეხსაცმლის კაკუნი და მისი ხმა მოდიოდა, რომელიც იხვეწებოდა: „ერთი თუმანი, მარტო ერთი თუმანი“ (Ravanipour, 2014).

წყლის ფრინველებისა და ზღვის გარდა, ქანიზოს კიდევ ორი გულშემატკივარი ჰყავს - სოფლის მასწავლებელი და პატარა მარიამი - რავანიფურის თხზულებების უცვლელი პერსონაჟი. მაგრამ ამ ნოველაში პროტესტი, რომელიც მომდევნო ნაწარმოებებში მკვეთრდება და აქტიურ ფაზაში გადადის, ჯერ კიდევ ძალიან უფერული და პასიურია. ორივე დამცველი თითქმის უტყვია და უმოქმედო. ერთი იმიტომ, რომ ბავშვია და მხოლოდ იმპულსებისა და შეგრძნებების დონეზე შეუძლია დამოკიდებულების გამოხატვა. მეორე კი, თუმცა ზრდასრული და განათლებული ქალია, მაგრამ მაინც ამ საზოგადოების ნაწილია, მის წინააღმდეგ ღიად გამოსვლას ჯერ ვერ ბედავს და აზრს მხოლოდ მოკრძალებით გამოთქვამს („ციხეში ჩასმა გამოსავალი არ არის...“, როცა გაიზრდებით, ბევრ წიგნს რომ წაიკითხავთ, მიხვდებით, რა უნდა იყოს გამოსავალი...). მაგრამ ამ ეტაპზე ეს პროტესტიც გარკვეული ნაბიჯია ცვლილების გზაზე. მასწავლებლის სიტყვებში ჩანს როგორც მწერლის აღშფოთება იმ სისასტიკის მიმართ, რომელსაც ბრბოდ ქცეული საზოგადოება იჩენს თავისივე მოყვასისადმი, ასევე, ისიც, რომ ავტორი ამ სისასტიკეში ბრალს სდებს ბრბოს პირველყოფილ უბირობას, რომლის უკანაც ქვეყნის ხელისუფლება მიმაღლულა. ის არის ბრალეული ამ ადამიანების მიერ ჩადენილ ყველა დანაშაულში, რადგან მას აძლევს ხელს ადამიანების უმცირესობაში ყოფნა - ასეთების მართვა ხომ ბევრად უფრო ადვილია, ვიდრე განათლებული საზოგადოებისა.

ამ ადამიანებს, დაბრმავებულებს თავიანთი ათასწლოვანი ადათებით, წარმოდგენებით, ცრურწმენებითა და შეუცნობელი ძალების წინაშე შიშით, დამნაშავეებად ვერ შერაცხავ - ისინი ისეთივე მსხვერპლნი არიან მათზე მობატონე გაცნობიერებული თუ გაუცნობიერებელი ავი ძალებისა, როგორებიც მათ მიერვე განადგურებული სიცოცხლეები.

უსასტიკეს ნოველას რავანიფური პოეტური სურათებით ამშვენებს და ამით კიდევ მეტად ამკვეთრებს ადამიანების მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედების სიმძიმეს. თხრობაში შემოაქვს პატარა მარიამის სიზმარი, რომელიც ქანიზოს ცხოვრების მეტაფორას წარმოადგენს: „დამბასთან ჩამოჯდა. ზღვის ზედაპირი მზეზე ვერცხლისფერ ფულაქებად ბრწყინავდა. ტალღები რბილად იკეცებოდნენ და მარიამს ფეხქვეშ ეგებოდნენ. იქვე პატარა ოქროს თევზი დანავარდობდა. წყლიდან თავს ამოყოფდა, ამოტრიალდებოდა და ისევ წყალში უჩინარდებოდა. მეორე წამში წყლის ზედაპირზე გასრიალდებოდა. ვერ ამჩნევდა ზვიგენებს, გარშემო რომ შემოსჯაროდნენ. შემდეგ ზღვა წითლდებოდა, ზვიგენები ყბებს ამოძრავებდნენ, სისხლიანი ყბები ჰქონდათ...“ (Ravanipour, 2014).

მონირო რავანიფურის კრებულში „სირია, სირია“ (1994 წ.) ერთ-ერთი საუკეთესოა ნოველა „იაკობის დედა“, რომელშიც მწერალი, კვალავ მაგიური რეალიზმის მეთოდის გზითა და თავისი მშვენიერი სამწერლო იარაღის - მითოპოეტიკის - საშუალებით, ფეერიული სანახაობის ფონზე გვიხატავს ბრბოს სისასტიკეს და მის მსხვერპლ მოხუც ქალს - იაკობის დედას.

ამ სოფლისთვის, ისევე, როგორც მთელი სპარსეთის ყურის სანაპიროსთვის, ერთადერთი მარჩენალი ზღვაა და ამ რეგიონის ყველა ზღაპარი, მითი თუ სინამდვილე ზღვას უკავშირდება: ყურეში მოთარეშე ქარები სხვადასხვა დანიშნულებისა და წარმოშობისანი არიან; ზღვის სულები - ჯინები და ფერიები - ხასიათითა და ზნით განსხვავდებიან - ზოგი ბოროტია, ზოგიც - კეთილი. მათ სურვილსა და ჭირვეულობას უკავშირდება ამ უბედური ადამიანების ცხოვრების წარმატება და მარცხი. მათეა მინდობილი მოხუცი ქალის არსებობა-არარსებობაც. თუ დედაბრის ქარმა იმ წელიწადს რომელიმე მოხუცი ქალი არ წაიყვანა, მეზადურები თევზს ვერ დაიჭერენ, ეს კი შიმშილის ტოლფასია. სხვა ხსნა ამ სოფელს არ გააჩნია. და სოფელი იაკობის დედას, ფაქტობრივად, სიკვდილს მიუსჯის. მათი ათასწლოვანი წარმოდგენის შესაბამისად, ქალი ზღვის პირას მშიერ-მწყურვალ უნდა დაჟდეს და დედაბრის ქარის განაჩენს - სიკვდილს - დაელოდოს. ასეთი მოხუცები აქამდე უხმოდ და სრული მორჩილებით ასრულებდნენ სოფლის ვერდიქტს. მაგრამ ამ ნოველაში მნიშვნელოვანი მომენტი ჩნდება, რომელიც სწორედ ფემინისტური კუთხითაა საინტერესო. მწერალს შემოაქვს შტრიხი, რომელშიც ქალის მოულოდნელ, მაგრამ უკვე ცხად გარდასახვას - პროტესტს გვიჩვენებს. ეს პროტესტი გარკვეული ნაბიჯია საკუთარი პიროვნულობის დაცვისა თუ პოზიციის გამოხატვის გზაზე და ეს ნაბიჯი მას სხვა პერსონაჟებისგან გამოარჩევს. რა თქმა უნდა, მისი პროტესტი პასიური და ძალიან მცირეა, მაგრამ იმ სინამდვილის ფონზე, რომელსაც რავანიფური გვიხატავს, ქალის მიერ გადადგმული გაცნობიერებული ნაბიჯია, რაც ინდივიდის სვლის დასაწყისია იდენტობის გარკვევისაკენ. იაკობის დედა აღარაა ბრბოს ნაწილი, რომელიც ბრბოს მიერ გამოტანილ აბსურდულ განაჩენს აღასრულებს. მას გაცნობიერებული აქვს ამ საზოგადოებაში ჩანერგილი წარმოდგენების უაზრობა და უსამართლობა. თუმცა ჯერ სოფელს გახსნილად წინ ვერ აღუდგება, აქამდე კიდევ დიდი გზაა გასავლელი, მაგრამ თავის გადარჩენაზე უკვე ფიქრობს: თან მიაქვს პური და გამორიყული თევზით იკვებება. თავისთავად, ამ თევზის ჭამაც საზოგადოების წინააღმდეგ მიმართული პროტესტია, რადგან, ხალხის რწმენით, გამორიყული თევზი უწმინდურია, მასში ავი სული სახლობს. ამ თევზის ჭამა ცოდვად მიიჩნევა. იაკობის დედას კი, რადგან ერთხელ უკვე შეუჯდა ეჭვი, აღარც ამ წარმოდგენისა სჯერა და აღარც იმის, რომ, სოფლის გადასარჩენად, დედაბრის ქარს უნდა შეეწიროს.

„ყველა თევზი თევზია, მარიამ. ზღვაც მხოლოდ ზღვაა და მეტი არაფერი. ოღონდ სოფელი არაა სოფელი“. (Ravanipour, 2000: 22).

ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული ნოველა მონირო რავანიფურის შემოქმედებაში, რომელიც უშუალოდ ქალის პრობლემას ეხმაურება და განსაკუთრებით მტკივნეულ საკითხს წამოჭრის, არის „გრძელი ღამე“. ამ თემატურად და იდეურად უმძიმეს ნოველას განსაკუთრებულ სიმძაფრეს ავტორის ოსტატობა ანიჭებს, რომელიც ისევ ფეერიული სანახაობის ფონზე ავითარებს ნარატივს და ამ კონტრასტის საშუალებით მაქსიმალურ ეფექტს ქმნის.

თხრობა ეხება მარიამის ბავშვობის განუყრელ მეგობარს, პატარა გოლფარს, რომელსაც მარიამის მოთხოვნების მკითხველი სხვა ნოველებიდანაც იცნობს. აქ მწერლის კრიტიკის თემა გოგონების ადრეული გათხოვებაა. პატარა გოგონას მოთხოვნაში უკიდურესი გაჭირვების გამო ათხოვებენ, მაგრამ ამაში არათუ სისასტიკეს და უსამართლობას ვერ ხედავენ, არამედ სიხარულითაც კი ხვდებიან. მათთვის ეს სრულიად ბუნებრივი მოვლენაა, მით უფრო, რომ შეძლებული საქმრო დაპირებებითა და

საჩუქრებით ხიბლავს ოჯახს. დედაც კმაყოფილია და გოლფარიც, გოლფარი იმით, რომ სამაჯური და თავსაფარი უყიდეს. დედას კი, დაფხავებული ქოხმახის ნაცვლად, ქვითკირის სახლის აშენებას დაჰპირდნენ.

გოგონები იმდენად პატარები არიან, გათხოვების მნიშვნელობაც არ ესმით. გოლფარი ჰპირდება ბავშვებს, რომ ქორწილის შემდეგ ისევ გამოვა ზღვის სანაპიროზე და მათთან ერთად იცურავებს. თხრობაში ერთმანეთს ენაცვლება ბავშვობის ნათელი, ლაღი მოგონებებისა და ქორწილის უსასრულოდ გრძელი, სულისშემძვრელი ღამის ფრაგმენტები.

ნოველა უკვე შემზარავი ფრაზით იწყება, რომელიც მკითხველს საშინელებისთვის ამზადებს: „ჯოფრე³ გოლფარის კივილის ქვეშ სულს დაფავდა“ (Ravanipour, 1996: 242).

გოლფარის ქორწილის ღამეს მარიამს არ ეძინება, რადგან ყურში მეგობრის უსაშველო კივილი ჩაესმის. კივილი არ წყდება და ისედაც გრძელ ღამეს უარესად აგრძელებს. მარიამის გონებაში გოლფარის ქმარი „გუდიანი კაცის“ სახეში გარდაისახება და ესიზმრება, როგორ დაეხსნა გუდიანის კლანჭებს ერთიანად გასისხლიანებული გოლფარი. აქ მწერალს ისევ გამჭვირვალე მეტაფორად შემოაქვს თავისი სათქმელი: „გოლფარმა წყლის ჩიტისგან გაშალა ფრთები, მარიამს შემოუფრინა. სისხლიანი ფრთები ჰქონდა, დამტვრეული. მარიამს მოუნდა, მისი ფრთები წაეღო და ზღვაში დაეხანა, მაგრამ გოლფარმა შეხედა. ისე შეხედა, როგორც ზღვის ფრინველმა იცის. ისე, როგორც პატარა ვერცხლისფერმა თევზებმა იციან. შეხედა და ზემოთ აფრინდა... ფრთა ფრთას შემოჰკრა და აფრინდა. მარიამი დაედევნა, მაგრამ ვერ მისწვდა... ეძახდა, „გოლფარ, გოლფარ!“ გოლფარს ფრთები გადამტვრეოდა და მარიამს სისხლი ეწვეთებოდა“ (Ravanipour, 1996: 250).

ნოველას კი რეალობად ქცეული მეტაფორა ასრულებს: დილით კაცებს სახლიდან გასისხლიანებულ ჩადრში გახვეული გოგონას ცხედარი გამოაქვთ.

ამ პატრიარქალური საზოგადოების ფსევდომორალი, სხვადასხვა სიმკვეთრითა და განსხვავებული რაკურსით, რავანიფურის არაერთ ნოველასა თუ რომანშია გაცხადებული.

ნოველაში „მაქო“ (კრებული „სირია, სირია“) კიდევ ერთ ამაზრზენ პატრიარქალურ რწმენას ვეჯახებით. თხრობა აქაც მაგიური რეალიზმის მანერით - რავანიფურის საყვარელი სამწერლო მეთოდით - ვითარდება. მასში ჩართულია ადგილობრივი მითოპოეტური წარმოდგენები, რომელთა ფონზე მწერალი ოსტატურად ახერხებს კონტრასტების სამყაროს ჩვენებას: ღვთიით შექმნილი მშვენიერების გარდაქმნას ადამიანური უგუნურების ნაყოფად - სისასტიკედ და ბოროტების საუფლოდ. რავანიფურის მაგიურ-რეალისტური სამყარო უმძიმეს, მაგრამ შთამბეჭდავ სურათებად რჩება მკითხველის გონებაში.

სოფლის მჩხიბავი უბირი და უმეცარი ადამიანების ურყევ რწმენას ჯინების, კეთილი თუ ბოროტი სულების არსებობისა და მათი ძალმოსილების შესახებ საკუთარი სარგებლისთვის იყენებს და მრავალ ბოროტებას ჩადის. ათასწლოვანი შეხედულება უკანონოდ შობილი ბავშვის მოკვდინების სამართლიანობის თაობაზე, რათა ცოდვა არ გამრავლდეს, არც მხოლოდ ირანის ადათ-წესების „მონაპოვარია“ და არც მსოფლიოს ისტორიისა თუ ლიტერატურისთვის წარმოდგენს სიახლეს. ამაზე ბევრი თქმულა და დაწერილა, მაგრამ ეპოქა და სისასტიკე, როცა და რა სახითაც რავანიფურის ნოველის მოვლენები ვითარდება, განსაკუთრებული დაფიქრებისა და განსჯის საფუძველს იძლევა.

„უკანონოდ“ დაფეხმძიმებულ გოგონას დედა მშობიარობამდე სოფლიდან მოშორებით - მიტოვებულ ჭაში მალავს, რომ ეს სამარცხვინო ამბავი არავინ გაიგოს. ახალშობილს კი ასო-ასო კუწავს და თავის ქმედებას მჩხიბავი მაქოს სიტყვებით ამართლებს. მჩხიბავის სიტყვა და საქმე ამ უბედური ადამიანებისთვის შეუვალი

³ ჯოფრე - მონირო რავანიფურის მშობლიური სოფელი, რომელშიც ვითარდება თხრობა ბევრ ნაწარმოებში.

ქეშმარიტება: „სანამ მოკვდება, უნდა ეწამოს. თუ არ ეწამა, სიკვდილამდე ზეცას და მიწას დაინახავს და დაუბადებელ ბავშვებს მოუყვება. ჰოდა, ისინი მოვლენ და ჩემს გოგოს მუცელში ჩაუსახლდებიან... მაქომ მითხრა, როცა წამებით კვდება, ტკივილისა და წამების მეტი თან ვერაფერი მიაქვს და დაუბადებელ ბავშვებს ვერაფერს მოუყვება... ჰოდა, ის ბავშვები ჩემს შვილს მუცელში ვეღარ ჩაუსახლდებიან“... (Ravanipour, 2000: 47).

ცხადზე ცხადია, რომ ასეთი სიბნელიდან და უმეცრებიდან სინათლეზე გამოსვლას მცირე დრო და ძალისხმევა არ დასჭირდება. სინათლემდე და ქალის უფლებების დამკვიდრებამდე კიდევ გრძელი გზაა გასავლელი. მაგრამ ამ გზას შეუპოვრად ადგას რავანიფურის ქალი პერსონაჟი.

რავანიფურის მარიამი იზრდება და ამ ზრდასთან ერთად მისი ბავშვური გაუცნობიერებელი პროტესტი ახალ ნაწარმოებებში და ახალ პერსონაჟებში გაცნობიერებული ხდება, აქტიურდება და ქალის უფლებების დასაცავად, საკუთარი პიროვნების გამოსახატად და თავის დასამკვიდრებლად ქმედით ნაბიჯებს დგამს. ფაქტობრივად, რავანიფურის შემოქმედება ამ მნიშვნელოვანი პრობლემის ევოლუციის გზის მხატვრული გააზრება და მისი სხვადასხვა სამწერლო მეთოდით გამოხატვა გახლავთ.

თავად მწერალი დღევანდელ მსოფლიოში ქალთა ლიტერატურის აღზევებასაც ამ უმნიშვნელოვანესი საკითხისადმი სერიოზული დამოკიდებულების გამოხატულებად მიიჩნევს და ამბობს, რომ ქალთა ლიტერატურა ქალის ბრძოლის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს საკუთარი პიროვნების, იდენტობის გამოხატვის გზაზე.

ქალის ადგილისა და დანიშნულების გადააზრების შემდეგი ეტაპი რავანიფურის ნაწარმოებებში აფსანე სარბოლანდის სახით ვითარდება. ეს გახლავთ რომანის - „ფოლადის გული“ - მთავარი პერსონაჟი, რომელიც ქმრის, მამისა და დების წნეხს თეირანში გამოექცა. მას შემდეგ, რაც ყომარბაზმა ქმარმა თანამეინახეებს მიჰყიდა, ქალი მამისეულ სახლს შეეფარა, მაგრამ იქაც სასტიკ, თუმცა სრულიად ტრივიალურ, პატრიარქალურ საზოგადოებაში დამკვიდრებულ, დამოკიდებულებას გადააწყდა, როცა ყველაფერში ქალია დამნაშავე; როცა ქმარი მისი პატრონი და ცხოვრების განმკარგველია, ცოლი კი - ქმრის სურვილების მორჩილი და უტყვი აღმსრულებელი. ნიშანდობლივია, რომ აფსანეს წინააღმდეგ გამოდიან არა მარტო მამაკაცები, არამედ - ქალებიც, მისივე დები. ამ პრობლემისადმი პერსონაჟი ქალების დამოკიდებულების გამოხატვა ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია. ავტორი მკითხველს ცხადად აჩვენებს, რომ, სანამ ქალი თავად არ დაინახავს საზოგადოებაში დამკვიდრებული ადათების უსამართლობას, სანამ თავად არ მოისურვებს რაიმეს შეცვლას და არ გააცნობიერებს საკუთარი უფლებების დაცვის მნიშვნელობას, მანამ ვერავითარი რეფორმა და დადგენილება მის ცხოვრებას უკეთესობისკენ ვერ შეცვლის. აფსანე თავის დებს აღარ ჰგავს და ამით არის საინტერესო. მან უფრო ადრე დაინახა ცვლილებების აუცილებლობა, უფრო ადრე შეიცნო საკუთარ თავში საზოგადოების სრულუფლებიანი წევრი. ის უკვე ცდილობს, წინ აღუდგეს უსამართლობას და დაიცვას ქალის უფლება. აფსანე მამისეული სახლიდანაც მიდის და, სრულიად მარტო, თეირანში იწყებს ახალ ცხოვრებას. მნიშვნელოვანია, რომ ადგილის დამკვიდრებაში ქალს განათლება ეხმარება. აფსანეს პერსონაჟის გადაწყვეტილება უკვე პროტესტია, ამბოხია არსებული ადათების წინააღმდეგ. მას საკუთარი უფლებები გაცნობიერებული აქვს და ცვლილებები სურს, თუმცა მისი გზა ჯერ კიდევ მერყევიანია. აფსანე სარბოლანდი ძიების გზას ადგას, მაგრამ საკუთარ შესაძლებლობებში ჯერაც ეჭვი ეპარება.

რავანიფურისეული ქალი-პერსონაჟის საბოლოო სრულყოფა ნოველაში „ქალი ფრანკფურტის აეროპორტში“ ხორციელდება. აქ ქალი უკვე აბსოლუტურად დამოუკიდებელი, საკუთარ თავში დარწმუნებული, თავისი უფლებების მცოდნე და დამცველი, თვითკმარი თანამედროვე ინდივიდია, რომელსაც სრულად აქვს

გაცნობიერებული საკუთარი სურვილები, უფლებები და მიზნები და თავდაჯერებულად მიდის მათკენ. პროტესტს აცხადებს თავის სამშობლოში მოქმედი რეჟიმის მიმართ და არ აპირებს მასთან შეგუებას. ევროპაში კონფერენციაზე მიემგზავრება, თუმცა ისიც იცის, რომ ამ გადაწყვეტილებამ, შესაძლოა, სამშობლოს კარი დაუხუროს.

კრებული, რომელშიც შესულია ეს ნოველა, ამავე სახელწოდებას ატარებს: „ქალი ფრანკფურტის აეროპორტში“. კრებულის სახელწოდებად ამ ნოველის სათაურის გამოტანა, ცხადია, შემთხვევითი არ არის. „ქალი ფრანკფურტის აეროპორტში“ მწერლის ემიგრანტული მოღვაწეობის პერიოდს მიეკუთვნება და სრულიად არაორაზროვნად გამოხატავს ავტორის მოქალაქეობრივ პოზიციას: ამ რეალობაში მას აღარ უწევს ისლამური ცენზურის წინაშე ალეგორიული სახეებითა და მეტაფორებით სათქმელის შენიღბვა.

დასკვნა. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მონირო რავანიფურის შემოქმედებაში ფემინისტური დისკურსი ერთგვარ კონცეპტუალურ ხაზად გვევლინება. ქალის მიერ საკუთარი იდენტობისა და ადგილის ძიებისა და დამკვიდრების პროცესი მწერლის პროზაში მის ადრეულ თხზულებებშივე იწყება და ევოლუციას განიცდის. ქალის იდენტობის ძიება რავანიფურის ადრეულ ნაწარმოებებში მწერლისეული კრედოს გამომხატველი გმირით - პატარა მარიამით - იწყება. სპარსეთის ყურის მითოპოეტური სამყაროს პატარა, თუმცა უკვე მშობლიური გარემოს სამართლიანობაში დაექვებული პერსონაჟი მომდევნო ნაწარმოებებში პატრიარქალური წნეხის წინაშე ამბოხებულ, საკუთარი უფლებებისა და პიროვნული იდენტობის მაძიებელ ქალად იქცევა, საბოლოოდ კი კრებულში „ქალი ფრანკფურტის აეროპორტში“ პატრიარქალურ სინამდვილესა და ისლამურ კანონებს თავდახსნილ პერსონაჟად - განათლებულ, თავდაჯერებულ და თვითკმარ ქალად - მოგვევლინება.

კვლევამ აჩვენა, რომ ეს კრებული, რომელიც ღია პროტესტს გამოხატავს ისლამური რესპუბლიკის რეჟიმის მიმართ, მწერლის შემოქმედებაში ფემინისტური ხაზის განვითარების ერთგვარ ფინალურ შტრიხად შეიძლება მივიჩნიოთ.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

روانی پور، م. (1996). *شب بلند، شکوفایی داستان کوتاه در دهه نخستین انقلاب، به کوشش صفدر تقی زاده، تهران: انتشارات علمی.*

روانی پور، م. (2000). *سیریا، سیری، تهران: انتشارات نیلوفر.*

به کی یف که رسیدم، زنگ می زنم. (2021).

https://books.google.ge/books/about/%D8%A8%D9%87_%DA%A9%DB%8C%E2%80%8C%D8%B%8C%D9%81_%DA%A9%D9%87_%D8%B1%D8%B3%DB%8C%D8%AF%D9%85_%D8%B2%D9%86%DA%AF.html?id=T2tUEAAAQBAJ&redir_esc=y

روانی پور، م. (2014). *کنیزو، داستان کنیزو از منیرو روانی پیپور، نوشته شده سیزدهم اردیبهشت 1392*

<https://maryamfaridi.blogfa.com/post/23>

روانی پور، م. (2019). *خیلی مانده است تا جهان زن را قبول کند.*

<https://media.hamyaari.ca/2019/01/21/>

زنان تأثیرگذار ایرانی. (2024). *منیرو روانی پور، ۶ شهریور*

1402

روانیپور/زنان-تأثیرگذار-ایرانی-منیرو-- <https://iranwire.com/fa/blogs/2674>

لقایی، س. (2022). *باید به نسل های بعد بگویم در کشورم چه خبر بود. منیرو روانی پور در گفت و گو با صدای آمریکا.*

در یافت شده 24. آذر 1400

<https://ir.voanews.com/a/moniro-ravanipour-author-ps752/6357696.html>

نویسنده دروغ واقعی می گوید. (2008). گفتگویا منیرو روانی پور، الیاس احمدی، به روز شده 02 فوریه 2008

https://www.bbc.com/persian/arts/story/2008/02/080129_an-aa-moniro

REFERENCES AND SOURCES

- Ravanipour, M. (1996). *Shab-e boland*, shekufa-ie dastan-e kutah dar dahe-ie noxostin-e Enqelab, [*The Long Night*], a short story created in the first decade of the Revolution, Tehran: Publishing House “Elmi”.
- Ravanipour, M. (2000). *Siria, Siria*. [*Syria, Syria*]. Tehran: Publishing House “nilufar”.
- Laqaii, S. [2022]. *Baiad be nasl-ha-ie bad beguiam dar keshvar-e man che xabar bud dar goftogu ba seda-ie Amrika*. [*I must tell future generations what was happening in my country*]. <https://ir.voanews.com/a/moniro-ravanipour-author-ps752/6357696.html>
- Nevisande doruq-e vaqei miguiad. (2008). Goftogu ba Moniro Ravanipour, [*The Writer Tells a Realistic Lie*]. Interview with Moniro Ravanipour. https://www.bbc.com/persian/arts/story/2008/02/080129_an-aa-moniro
- Ravanipour, M. (2021). *be Kiev ke residam, zang mizanam*, [*When I get to Kyiv, I will call you*] https://books.google.ge/books/about/%D8%A8%D9%87_%DA%A9%DB%8C%E2%80%8C%DB%8C%D9%81_%DA%A9%D9%87_%D8%B1%D8%B3%DB%8C%D8%AF%D9%85_%D8%B2%D9%86%DA%AF.html?id=T2tUEAAQBAJ&redir_esc=y
- Ravanipour, M. (2014). *Kanizo*, Dastan-e Kanizo az Moniro Ravanipour, Mariam Faridi. [*Kanizoo*]. <https://maryamfaridi.blogfa.com/post/23R>
- Ravanipour, M. (2019). *Kheili mande ast, ta jahan zan ra qabul konad*. [*It's still a long way until the world recognizes women*]. <https://media.hamyari.ca/2019/01/21/>
- Zanan-e tasirgozar-e irani - Moniro Ravanipour, (2024). [*Important Women of Iran – Moniro Ravanipour*]. <https://iranwire.com/fa/blogs/2674-روانیپور/زنان-تاثیرگذار-ایرانی-منیرو->